



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2021

აგვისტო



03.09.2021

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.09.2021


ინფლაცია საქართველოში 2021 წლის აგვისტო

2021 წლის აგვისტოში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.7 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.8 პროცენტი შეადგინა.


რაც შეეხება საბაზო ინფლაციას¹, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის აგვისტოში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.7 პროცენტი შეადგინა, თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის² მაჩვენებელი კი 6.8 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით



ჯგუფების წვლილი* 2021 წლის აგვისტოს ინფლაციაში (სულ 0.7%)



ინფლაციის დონე, სულ

0.7

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

¹საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

²თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

03.09.2021

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.4 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.45 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერციხი (3.8 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (2.6 პროცენტი), ბოსტნეული და ბალჩეული (2.1 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (1.2 პროცენტი), თევზეული (1.1 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (1.0 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ზეთსა და ცხიმზე (-2.1 პროცენტი), ასევე ხილსა და ყურძენზე (-1.5 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები მომატებულია 1.1 პროცენტით, რაც 0.14 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (1.2 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (0.9 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (0.5 პროცენტი);

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.8 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.11 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია როგორც ღამის გასათევით მომსახურებაზე (7.2 პროცენტი), ისე საზოგადოებრივ კვებაზე (1.1 პროცენტი);


საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 0.8 პროცენტიანი მატება, რაც 0.11 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ფაქტიური გადასახადი საცხოვრებელზე (4.3 პროცენტი) და საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (0.5 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2021 წლის აგვისტოს წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.09.2021

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვისთან შედარებით



ჯგუფების წვლილი* 2021 წლის აგვისტოს ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვისთან შედარებით, (სულ 12.8%)



ინფლაციის დონე, სულ

12.8

● პროცენტული პუნქტი ●

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 16.2 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.09 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ზეთი და ცხიმი (43.9 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (42.2 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (17.3 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (16.9 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (13.0 პროცენტი), თევზეული (11.9 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (11.5 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (8.3 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (6.8 პროცენტი), ხილი და ყურძენი (5.4 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 22.5 პროცენტით, რაც 2.69 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (32.5 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (4.6 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (2.9 პროცენტი);


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.09.2021

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 11.6 პროცენტითანი მატება, რაც 1.75 პროცენტული პუნქტითაისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები (13.5 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (7.1 პროცენტი), წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (4.5 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები მომატებულია 10.9 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.85 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაზრდილია სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობის (17.9 პროცენტი), საავადმყოფოების მომსახურების (5.3 პროცენტი) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (5.0 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.


ყოველთვიური ინფლაცია



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.09.2021

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.09.2021

საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული

ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)

E-mail: gtetrauli@geostat.ge